

# ხობის მოამბე

№9 (7149)
19 აგვისტო, პარასკევი.
2022 წელი.
გაზეთი გამოდის 1932 წლის 12 ივლისიდან
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

12 აგვისტოს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, საკრებულოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ცოტნეობის და დიდგორობის დღესასწაულები.

სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ხობი საქართველოსთვის" რეგისტრაციის გაუქმების შესახებ".

ფრაქციის გაუქმების საფუძველი



გახდა ფრაქციის ორი წევრის ნუგზარ შუშანიას და მაკა ჩარტიას მიერ ფრაქციის დატოვება.

დადგენილების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", განხორციელდა 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის 573,7 ათასი ლარის და შემოსულობების ზრდით მიღებული ასიგნებების 69,2 ათასი ლარის (ცენტრალური ბიუჯეტი), სულ 642,9 ათასი ლარის ბიუჯეტში ასახვა, რომელიც მიიმართა პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე.

სხდომაზე ფარული კენჭისყრის საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულიქნა ნუგზარ შუშანია.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ", რომლის თანახმადაც საკრებულოს მიერ მოწონებულიქნა 2022-2023 წლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი შემდეგი პროექტები:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ კუთხე ნოჯიხევში შიდა სასოფლო გზის (ასფალტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში შიდა სასოფლო გზის (ცემენტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-ღვაბისა და ხამისქურის დამაკავშირებელი გზის (ცემენტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები;

დ) ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საქირიოში გზის (ცემენტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები;

ე) ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ნოჩხონში გზის (ასფალტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები;

ვ) ხობის მუნიციპალიტეტის პატარა ფოთისა და ჭალადიდის დამაკავშირებელი გზის (ცემენტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები;

ზ) ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-ღვაბის ადმინსტრაციულ ერთეულში სოფელ საბუკიოში ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები;

თ) ხობის მუნიციპალიტეტის საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის (ასფალტო-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები;

ი) ქალაქ ხობში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაოები;

კ) ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში აია სოფიას ტაძართან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები.

საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის გაყოფის შედეგად გალმა საჯიჯაო ჩამოყალიბდა ცალკე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად. ზემო აღნიშნულის გამო, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სკოლის სახელწოდების ცვლილება შემდეგი რედაქციით: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გალმა საჯიჯაოს ილია ქვარცხავას სახელობის სკოლა", რაზედაც საკრებულოს გადაწყვეტილებით მიღებულიქნა განკარგულება „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გალმა საჯიჯაოს საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე".

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## 14 წელი აგვისტოს ომიდან...



2008 წლის აგვისტოს ომიდან 14 წელი გავიდა.

ხობის მუნიციპალიტეტში ომის დროს დაღუპული 9 ხობელი გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს და მემორიალი ყვავილებით შეამკეს ხობის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბუკიამ, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძემ, მერის პირველმა მოადგილე რევაზ ზაქარაიამ, მოადგილე დავით ბერაიამ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

მემორიალთან გოგა ბერაიას, მიხეილ იოსავას, ლევან ჭოჭუას, დათა ხურცილავას, გოგა ჭითანავას, ზვიად დათუაშვილის, ლევან ტურავას, გოგიტა ქარჩავას და რამაზ კიტიას სახელთა უკვდასაყოფად ფოლკლორულმა ანსამბლმა „კოლხეთმა" საგალობელი და ხალხური სიმღერები შეასრულა.

2008 წლის აგვისტოს ომმა 400-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ომში დაიჭრა და დაშავდა 2 232 პირი, მათგან–1 045 სამხედრო მოსამსახურე.

საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი ხობის წმინდა სამების სახელობის ეკლესიაში, მღვდელმა კირიონმა (დარასელია) გადაიხადა.

## „ცოტნეობა" –2022



3

# ჩვენს მუნიციპალიტეტში



ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში, რაჭიპ მამედოვის ძეგლისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბუკიამ, მერის პირველ მოადგილე რევაზ ზაქარაიასთან და მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროს გია ჩაბალუხასთან ერთად დაათვალიერა.

პროექტს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერია ანხორციელებს.

მოეწყობა კვარცხლბეკები, ლითონის ღობე, განაახლდება სკამები და ურნები, დაირგება დეკორატიული მცენარეები, მემორიალი და კვარცხლბეკები მოპირკეთდება მარმარილოს ფილებით.

ინფრასტრუქტურული პროექტის სამუშაოებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 81 000 ლარია, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „აფო“ აწარმოებს.

***



ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 84782 ლარია, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხობის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს.

სასოფლო გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია და მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი გია ჩაბალუხა გაეცნენ.

უახლოეს დღეებში დაიწყება ნოჯიხევის №1 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 70260 ლარს შეადგენს.

წელს, ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგამის“ ფარგლებში შვიდი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება.



თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სსიპ კოლეჯ ფაზისის ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის განყოფილების ეზოში ინფორმირებულობის მიზნით „ღია კარის დღე ღია სივრცეში“ მოეწყო.

დამსწრეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სახალისო აქტივობაში მიეღოთ მონაწილეობა, გაცნობოდნენ კოლეჯში განხორციელებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მატერიალურ ტექნიკურ ბაზას, გაეკეთებინათ საკუთარი არჩევანი და დარეგისტრირებულიყვნენ სასურველ სპეციალობაზე.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე და მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კოლეჯი „ფაზისი“-ს დირექტორთან ნინო ბაკურაძესთან და ხობი-ნოჯიხევის განყოფილების სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან ფერიდე გოგიასთან ერთად დაათვალიერეს სტუდენტების ნამუშევრები და გაეცნენ მათ ჩართულობას სხვადასხვა სფეროში.

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია 22 აგვისტოს ჩათვლით გრძელდება. სწავლება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გაიცემა სახელმწიფო დიპლომი.

რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც ონლაინ-ვებგვერდზე ასევე, საქართველოს მასშტაბით არსებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში



ქ. ხობის ცენტრალურ პარკში მიწის სისტემური რეგისტრაციის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, მიწის სისტემური რეგისტრაციის საკითხებზე, მოქალაქეთათვის საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები და მოქალაქეები ესწრებოდნენ.

დამსწრე საზოგადოებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა სამართლებრივი კონსულტაცია გაუწიეს, სახელმწიფო რეფორმის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის 798 ბრძანებით, ქვეყანაში მიწის სისტემური რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა დაიწყო. სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალად 59 მუნიციპალიტეტი განისაზღვრა.

2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს ტერიტორიის (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) 1/3 ნაწილი ჯერ კიდევ არ არის რეგისტრირებული, ან რეგისტრირებული მონაცემი ცვლილებას საჭიროებს.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, სსიპ–საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს სრულად აზომავს, დაარეგისტრირებს და მონაცემთა ერთიან ბაზას შექმნის. სისტემური რეგისტრაციის რეფორმის დასრულების თარიღად გამოცხადებულია 2025 წლის პირველი იანვარი.

# სპორტი



8 აგვისტოს, ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგა ჭითანავას სახელობის მინი-სტადიონზე, აგვისტოს ომის დროს დაღუპული რეზერვისტის გოგა ჭითანავასა და ჯარისკაცის ლევან ტურავას სახელობის საფეხბურთო ტურნირის ფინალური მატჩები გაიმართა.

ტურნირის გამარჯვებული ჩამისკურის გუნდი გახდა, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში ხეთის გუნდი დაამარცხა, ხოლო მესამე ადგილზე პირველი მაისის გუნდი გავიდა.

ფინალურ მატჩს, გოგა ჭითანავას და ლევან ტურავას ოჯახის წევრებთან ერთად, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე და მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდნენ.

ტურნირის გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს, ასევე სხვადასხვა ინდივიდუალურ ნომინაციებში საუკეთესოდ დასახელებულ ფეხბურთელებს თასები და სიგელები გადაეცათ.

სპორტული ღონისძიება, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.



17 აგვისტოს, ხობის მუნიციპალიტეტის საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში, 2004 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ჯარისკაცის, კობა შუბითიძის სახელობის თასის გათამაშების ფინალური მატჩი გაიმართა.

ფინალში ხობის „ჭალემ“ სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის გუნდი პენალტების სერიაში 4-3 დაამარცხა და კობა შუბითიძის სახელობის თასს დაეუფლა.

ტურნირში ხობის „ჭალეს“, საგვიჩიოს და ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულების გუნდებთან ერთად, ქუთაისის მესამე ქვეითი ბრიგადის, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის, ხონის მეექვსე საარტილერიო ბრიგადის, ეროვნული გვარდიის და ქობულეთის გუნდები მონაწილეობდნენ.

ტურნირის ფინალს და დაჯილდოების ცერემონიას თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდალი, კობა გრიგოლია, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი კობა კობალაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები და საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ორგანიზებით განხორციელდა.

# „ცოტნეობა"-2022

12 აგვისტოს ხობში, ტრადიციული საერო-საეკლესიო დღესასწაული „ცოტნეობა" აღინიშნება. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი), მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოს მელქისედეკთან, ბელგიის და ჰოლანდიის ეპარქიის ეპისკოპოს დოსითეოსთან და ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა.



სადღესასწაულო ღვთისმსახურებას ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია ესწრებოდა.



ხობის კულტურის სახლში ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?" გაიმართა. ახალგაზრდებმა ცოტნე დადიანზე, ხობის მონასტერზე და ხობის ისტორიაზე დასმულ კითხვებს უპასუხეს.



ახალგაზრდების ჩართულობით ხობის ცენტრალურ პარკში გაიმართა ქალაქური თამაშები (City Game) და მოეწყო ფლეშმობი.





კულტურის სახლის დიდ დარბაზში კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა. კონცერტზე ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების კლასიკური ნაწარმოებები შესრულდა.



კულტურის სახლის ფოიეში მოეწყო ახალგაზრდა მხატვრის ლალო გადელიას ნამუშევრების გამოფენა.




ხობის ცენტრალური პარკში ისტორიკოს გოგიტა ჩიტაიას ლექცია-სემინარი თემაზე „ცოტნე და ხობის მონასტერი" გაიმართა,

ხობის კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტი ჩატარდა.







ხობის ცენტრალურ პარკში გაიმართა სპორტული აქტივობები. მაგიდის ჩოგბურთში, ქუჩის კალათბურთში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში და ნარდში.

სოფელი

# სოფელი სხვადასხვა პოტენციალით!..



ირაკლი კუკავა–ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ხამისქურის ადმინისტრაციულ ერთეულში.

***გაეცანით ხობელებს, ვინ არის ირაკლი კუკავა?***

–მოგესალმებით!

დავიბადე ქალაქ ხობში 1991 წლის 15 იანვარს. ოთხი წლის ასაკში მშობლებთან თორნიკე კუკავა და ნონა ბუკიასთან ერთად, საცხოვრებლად თბილისში გადავედით, სადაც დავამთავრე გრიგოლ კობახიძის სახელობის მე-5 გიმნაზია და 2010 წელს ჩავირიცხე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე. სამსახურს რაც შეეხება, დღევანდელი ჩემი თანამდებობა ჩემთვის პირველი საჯარო სამსახურია. ვარ–დასაოჯახებელი.

***გვიამბეთ თქვენს სოფელზე, როგორი გინდათ იყოს, რა პერსპექტივა აქვს, გაქვთ სოფლის ფერიცვალების იმედი (იმედი არ მოგიშალოთ უფალმა!)?***

–ჩემი სოფელი ხამისქური ის ადგილია, რომელზეც დაუღალავად, უსასრულოდ ფიქრი და საუბარი შემიძლია. ბავშვობიდან ძლიერ ვარ ჩემს სოფელზე შეყვარებული და სწორედ ამ სიყვარულის „დამსახურებაა“ ჩემი თბილისიდან აქ დაბრუნება.

ფერიცვალების დიდი იმედი მაქვს, რადგან ხამისქურში ყველა თაობის ღირსეული ადამიანები მყავს, რომლებიც სიყვარულით ეპყრობიან ჩვენს სოფელს და დიდი წვლილი შეაქვთ მის აღორძინებაში.

რაც შეეხება ჩემს სურვილს, თუ როგორი მინდა იყოს ხამისქური, გეტყვით:

ჩემი სოფელი მინდა იყოს ეკონომიურად ძლიერი, ჭარბი მოსახლეობითა და დიდი ტურისტული პოტენციალით, ვინაიდან სოფელში გვაქვს იმის პერსპექტივა, რომ ვუმასპინძლოთ ბევრ ტურისტს, დავათვალიერებინოთ მათ ციხესიმაგრე „ჯიხა“, რომელიც დაახლოებით მე-16 საუკუნით თარიღდება. პიერ და ბადრი კობახიძეების სახლ-მუზეუმი და მოსალოცად ავიყვანოთ ჯეგეთის მწინდა გიორგის სალოცავზე, საიდანაც დატკბებიან ულამაზესი ხედით. ამ ყოველივეს ცოტა დრო სჭირდება, მაგრამ მაქვს იმის მოლოდინი, რომ ჩემი აქ მოღვაწეობის პერიოდში ამ სურვილებს ავისრულებ, რადგან გვერდით მიდგას ხობის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი დავითი ბუკია მთელი თავისი თანამშრომლებით და მეორეს მხრივ–ხამისქური თავისი მოსახლეობით.

სოფელში გვაქვს ერთი საჯარო სკოლა, რომელსაც ჰყავს პასუხიმგებლიანი, ნიჭიერი, მიზანდასახული და აქტიური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი მზია ჟვანია, საამაყო პედაგოგები და უნიჭიერესი მოსწავლეები.

ასევე გვაქვს საბავშვო ბაღი (მთავარი სპეციალისტი ზაირა ქირია), დაფნის გადამამუშავებელი რამოდენიმე საამქრო და კირქვის მომპოვებელი კარიერი.

***გაიხსენეთ, როგორი იყო თქვენი პირველი დღე ამ ამპლუაში?***

–პირველი დღე, სიმართლე გითხრათ, არც მახსოვს კარგად, რადგან ვიყავი მარტო იმ უცნობი საქმეების წინაშე, რასთანაც არასდროს არ მქონია შეხება, თუმცა ყველაფერი მალე დალაგდა კეთილი ადამიანების დამსახურებით და უცებ ავითვისე, რაც საჭირო იყო.

***გასული წელს რა გაკეთდა ხალხის საკეთილდღეოდ. ამჟამად ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, რომელიც თანასოფლელებთან ერთად გადაწყვიტეთ, რის გაკეთებას ითხოვენ... დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა, თუ?..***

–გასულ წელს დასრულდა ჯეგეთის სალოცავისკენ მიმავალი ბეტონის გზის გაკეთება, საქირიოს უბანში განხორციელდა სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და წლის ბოლოს დავაგვირგვინეთ საახალწლო ღონისძიებით, რომელმაც რაიონის მასშტაბით მოწონება და მოსახლეობის დიდი სიხარული გამოიწვია.

2022 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ხამისქურის მოსახლეობამ ერთხმად აირჩია სასმელი წყლის მილების მოწესრიგება, ჩატარდა აზომვითი სამუშაოები და ველოდებით აქტიური სამუშაოების დაწყებას.

***რას ფიქრობს ხალხი თქვენზე, ეიმედებით? როგორია თქვენი აზრი თანასოფლელებზე?..***

–ძალიან მიჭირს ამაზე საუბარი, მითუმეტეს დროის ამ მოკლე მონაკვეთში, დაზუსტებით ვერ ვიტყვი თუ რა დონეზე ვეიმედები მოსახლეობას, თვითონ მოსახლეობა უკეთ დააფიქსირებდა ამ კითხვაზე პასუხს. ალბათ ვეიმედებით, რადგან ყველა პროექტს თუ ღონისძიებას ერთად ვგეგმავთ და განხორციელების დროს ჩემს გვერდით არიან, რაც მათ აქტიურ დასწრებაში გამოიხატება.

მე კი მათზე ძალიან ბევრი შემიძლია ვისაუბრო და იგივე სიყვარულით, რა სიყვარულითაც შემიძლია ხამისქურზე საუბარი, მითუმეტეს ჩემს ახალგაზრდებზე, ნიჭიერებზე და ზრდილობით გამორჩეულებზე, მიზანდასახულებზე და საამაყოებზე. ის რეიტინგი, რაც დღეს ხამისქურს აქვს, ხობის მუნიციპალიტეტში, მათი დამსახურებაა, ის გამოცოცხლება, აქტიურობა და დიდი სულისკვეთება, რომელიც იგრძნობა ჩემს სოფელში, ახალგაზრდების და ღირსეული მოსახლეობის დამსახურებაა.



***თქვენი სახელი ძალიან აქტუალური გახდა მუნიციპალიტეტში, რადგან გახდით ინიციატორი და თქვენი აქტიურობით წესრიგში იქნა მოყვანილი მივიწყებული თეატრონი და პიერ და ბადრი კობახიძეების სახლ-მუზეუმი. ვინ დაგიდგათ გვერდით ამ კეთილშობილურ საქმეში?***

–ისევ გავიმეორებ და კიდევ ბევრჯერ ვიტყვი, რომ ერთის მხრივ მუნიციპალიტეტის მერია და მეორეს მხრივ სოფლის მოსახლეობა, სოფლის ახალგაზრდები მუდამ მიდგანან გვერდით. რაც შეეხება ამ ინიციატივებს, სოფლის სიმდიდრეების მოვლას და წინაპრების დანატოვარის პატივისცემას, ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა და მიხარია, რომ ახალგაზრდები პირნათლად, მიჰყვებიან ამ გზას.

***სოფელი თუ იყო კმაყოფილი იქ ჩატარებული პირველი ღონისძიებით, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივმა ცენტრმა მოაწყო ხამისქურელთათვის?***

–მინდა კიდევ ერთხელ მადლიერება გამოვხატო ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის (დირექტორი კობა კობახიძე) მიმართ იმ სასიამოვნო საღამოს მოწყობისთვის, მოსახლეობის გამხიარულებისა და პატარების გაბრწყნებული სახეებისთვის. მოსახლეობა იმდენად კმაყოფილი და აღტაცებული დარჩა, რომ ახლო მომავალში ისევ იგეგმება მსგავსი ღონისძიების ჩატარება.

***რას გვეტყვით ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სტუმრობაზე?..***

–ჩვენთვის მოულოდნელი და უსაზღვრო სიხარულის მომგვრელი იყო ის ფაქტიც კი, რომ სოფელში შეიძლებოდა თბილისიდან ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ჩამოსულიყო და დაედგათ სპექტაკლი. ახალი ამბავი უცებ გავრცელდა, როგორც ჩვენთან, ასევე მეზობელ სოფლებში, ყველას უკვირდა და უხაროდა ამდენი წლის მიძინებული თეატრონი ისევ აქტიურად რომ დაუბრუნდა ჩვეულ რიტმს. სპექტაკლმა გაამართლა მოლოდინი და მოსახლეობაც უსაზღვროდ კმაყოფილი დარჩა, რისთვისაც მინდა მადლიერება გამოვთქვა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართ, ასევე მადლობას ვუხდი ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მთელ გუნდს და პირადად ქალბატონ ეკატერინე შარიქაძეს.

***ბატონო ირაკლი, როგორია თქვენი და სოფლის დეპუტატის ფრიდონ კუკავას თანამშრომლობა სოფლის საკეთილდღეოდ. კარგი ტანდემი ხართ?***

–ხამისქურს ნამდვილად დამსახურებული და ღირსეული დეპუტატი ჰყავს. ბატონი ფრიდონი ოდითგანვე იყო გამორჩეული თავის სოფელში კეთილი საქმეების კეთებით. დარწმუნებული ვარ, არავისთვის არ იქნება სიახლე და გასაკვირი მედგრად, რომ მიდგას გვერდით და იზიარებს ყველა ჩვენს შემოქმედებას, იღებს აქტიურ მონაწილეობას ყველა პროექტისა თუ ღონისძიების განხილვასა და დაგეგმვაში. ვართ თუ არა, კარგი ტანდემი, ალბათ მიხვდებით.

***გმადლობთ სასიამოვნო ინტერვიუსთვის.***

–მადლობა თქვენ და მთელს თქვენს შემოქმედებით ჯგუფს, გაზეთის მკითხველს და ულევ წარმატებას გისურვებთ.

***ესაუბრა***
***ნანი კილასონია.***

# „ხელოვნება–ჩემი სულის სამყარო!"



**საჯიჯაო ხობის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი დიდი და გამორჩეული სოფელი გახლავთ. ეს სოფელი, არც თუ ისე შორეულ წარსულში, გმირების და ორდენოსან ადამიანთა საუფლო იყო. საჯიჯაოელმა მეჩაიეებმა სახელი და დიდება მოუტანა ხობს...**

**სოფელში, როდესაც კულტურის შესანიშნავი სახლი ააშენეს, მან დიდი ფურორი გამოიწვია. აქ ბევრი ადამიანი გამორჩეული სიყვარულით, დაინტერესებულნი იყვნენ ხელოვნებით. სცენას ამშვენებდნენ მომღერალი ოჯახები, უხუცესთა ანსამბლი, მოცეკვავეები... იყო წარმატებები და მიღწეული შედეგები...**

**წლებია საჯიჯაოში კულტურის სახლს ხელმძღვანელობს ძალიან ნიჭიერი, თავის სპეციალობაზე და საქმეზე შეყვარებული, ხალხური სიმღერების და „არტ-გენის" არაერთგზის მონაწილე და გამარჯვებული, კულტურის სფეროს დიდი მოსიყვარულე ქეთევან კაკაშვილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საჯიჯაოს კულტურის სახლი თავისი შემოქმედებითი საქმიანობით უდიდესი ტრადიციების მქონეა.**

**როდესაც მას შევხვდი, ვთხოვე საგაზეთოდ მოეყოლა ხელოვნებით მისი დაინტერესების მიზეზები, საიდან მოდის, რა დაამთავრა, როგორი იყო მუშაობის პირველი დღეები, წლები. მიღწევები, წარმატებები, მომავალის პრიორიტეტები... აი რა გვიამბო მან**

–ყოველთვის მეუხერხულებოდა, ჩემს პროფესიულ საქმიანობაზე საუბარი, რადგანაც ვფიქრობდი, რომ საქმით ვიტყოდი სათქმელს, ალბათ დადგა ეს დროც...

ვიზრდებოდი ხელოვანთა ოჯახში, მამა ამირან კაკაშვილი ახალი ხიბულის კულტურის სახლის დირექტორი და რაიონულ ანსამბლ „კოლხეთის" მუდმივი წევრი გახლდათ, დედა გოგონა ჭავჭანიძე ახალი ხიბულის საშუალო სკოლაში გუნდის ხელმძღვანელად მუშაობდა.




მეც მათთან ერთად ვმღეროდი და როგორც მომღერალ ოჯახს, არაერთ ოლიმპიადაზე მიგვიღია მონაწილეობა, მიღებული გვქონდა ლაურეატის I ხარისხის დიპლომები და მედლები.

მშობლების კვალს გავყევი, ჩავაბარე ქ. თბილისის საესტრადო ხელოვნების ფაკულტეტზე და მივიღე საეტრადო ანსამბლის მსახიობის, ვოკალის პედაგოგის კვალიფიკაცია. ვამაყობ, რომ ჩემი სპეციალობის პედაგოგი გახლდათ, გამოჩენილი, ყველასთვის საყვარელი კომპოზიტორი გიორგი (გოგი) ცაბაძე.

სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე საჯიჯაოს კულტურის სახლში ჯერ სამხატვრო ხელმძღვანელად, ხოლო 1986 წლიდან მაშინდელმა კულტურის განყოფილების გამგემ, შესანიშნავმა ქალბატონმა მედეა ნაჭყებიამ, საჯიჯაოს კულტურის სახლის დირექტორად დამნიშნა. ამჟამად ვარ ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის წამყვანი სპეციალისტი.

პირველი ახალგაზრდული დისკოთეკის კლუბის და კაფესაღამოების ტრადიცია სწორედ საჯიჯაოს კულტურის სახლში დამკვიდრდა. მოსვლის დღიდან ჩემი, როგორც ხელოვანის, პრიორიტეტი და უმთავრესი მიზანი იყო და იქნება სოფლად შემოქმედ ადამიანთა წარმოჩენა, ამის ნათელი მაგალითი გახლდათ უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლი „თუთარჩელა", რომელიც 25 წევრისგან შედგებოდა. ანსამბლი 20 წლის მანძილზე უანგაროდ, უსაზღვრო სიყვარულით ემსახურებოდა მეგრული ფოლკლორის განვითარებას და შენარჩუნებას. იყო არაერთგზის ფესტივალების გამარჯვებული და ლაურეატი. „ეს არის აკადემიური ანსამბლი", ასე აფასებდნენ ანსამბლს ფესტივალებზე. მათ შორის დღეს, სამწუხაროდ, მხოლოდ 5 წევრი დარჩა. პარალელურად საფუძველი ჩაეყარა ქართული ხალხური ცეკვის ჩამოყალიბებას და განვითარებას, რომლის ფუძემდებელი იყო, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, დღეს უკვე კულტურისა და ტურიზმის საზოგადოების თავმჯდომარე და ფესტივალ „ოქროს საწმისის" დირექტორი კახა ჩიტაია. მან მრავალი თაობა აღზარდა. სწორედ ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ბექა ქავთარაძე–მრავალი კონკურსის გამარჯვებული, საჯიჯაოს კულტურის სახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ოქროს საწმისის" ხელმძღვანელი. ბექა შესაშური ენერგიით და წარმატებით განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობას. მისი და ანსამბლის წევრების დიდი შრომის შედეგად, ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე ანსამბლმა „ოქროს საწმისმა" გრან-პრი მიიღო. შემდეგ იმყოფებოდნენ თურქეთის რესპუბლიკაში–ქ. არხავში, სადაც უდიდესი წარმატება ხვდათ წილად.

სოფელ საჯიჯაოს კულტურის სახლის სცენას ამშვენებდნენ მომღერალი ოჯახები: ქალბატონ ციალა პერტაიას და ბატონ ინდიკო შამათავას, ქარაიების, მზარელუების და ალექსანდრიების ოჯახები. ხალხური მთქმელები: ნორა ჩაჩუა, ნათელა სერგია, კოტე პერტახია და დავით ტყებუჩავა. ქსოვა-ქარგვის საქმეში ბადალი არ ჰყავს ხათუნა ნადარაიას, აღსანიშნავია ხეზე კვეთის ოსტატი ედიშერ თირქია, რომლებიც სხვადასხვა დროს ოლიმპიადის თუ ფესტივალის გამარჯვებულები გახდნენ. ბევრი მათგანი დღეს ჩვენ გვერდით არ არის. (ნათელი ხსოვნა მათ სახელებს!)

ყველა ღონისძიების ავტორი, რეჟისორი და სცენარისტი თავად გახლდით. ჩატარებული ღონისძიებებიდან განსაკუთრებით გამოვარჩევდი ფოლკლორის საღამოს–„ხიბლი ძველი სიმღერისა", სადაც მონაწილეობდნენ საჯიჯაოს შემოქმედებით აღსავსე ნიჭიერი ადამიანები. 1998 წლის ეს კონცერტი YTB-ზეა ატვირთული. „საჯიჯაოს კულტურის სახლის 1998 წლის კონცერტი". გარდა ამისა, რაიონულ ღონისძიებებზე აქტიური მონაწილე ვიყავი. ვმღეროდი, როგორც სოლო სიმღერებს, ასევე რაიონულ ანსამბლ „კოლხეთთან" ქალთა ტრიოში. ვარ ფესტივალ არტ-გენის არა ერთგზის მონაწილე და გამარჯვებულიც.

გაწეული მუშაობისთვის მიღებული მაქვს მრავალი ჯილდო და სიგელი. „განსაკუთრებული მადლობის" სიგელი საქართველოს კულტურის სამინისტროს მეთოდ-ცენტრის დირექტორის ქალბატონ ცისანა ქოჩეჩაშვილისგან–„სოფლად უხუცესთა ფოლკლორული ანსამბლების არსებობისა და შენარჩუნებისთვის".

...და ბოლოს, კვლავაც ჩვეული ენერგიით განვაგრძობთ შემოქმედებით საქმიანობას, მაქვს ახალი პროექტები და მიზნები, რადგანაც ხელოვნება არის ჩემი სულის სამყარო.

**P.S. ქალბატონო ქეთევან, ვიცი სათქმელი კიდევ ბევრი გაქვთ, დღეს მხოლოდ ამით შემოვიფარგლეთ, რადგანაც თქვენი გაკეთებული საქმეების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.**

**გილოცავთ მიღწეულ წარმატებებს. გვახარებს, რომ აღნიშნულ ცენტრს ჰყავს თქვენნაირი, პერსპექტიული და აქტიური ადამიანი.**

*საუბარი ჩაიწერა*
***ნანი კილასონიამ.***

## ვულოცავთ!



დაბადების დღეს ვულოცავ, ჩვენი მუნიციპალიტეტის დამსახურებულ ლოტბარს, ფოლკლორის გამორჩეულ მოღვაწეს, მეგრული სიმღერების მემატიანე და მოამაგეს, ბატონ ნუგზარ ზარანდიას, მისი წვლილი უდიდესია ქართული ფოლკლორული სიმდიდრის შენარჩუნებაში.

მან ძალიან ახალგაზრდამ, ჩამოაყალიბა ანსამბლი, რომელსაც მოგვიანებით სახელი „კოლხეთი" თვითონ შეურჩია და თითქმის ნახევარი საუკუნეა მას ყოველთვის ერთნაირი წარმატებით წარმოაჩენს.

ბავშვობიდან მქონდა ბედნიერება, (რამეთუ, ყველა მუსიკალურ მიმდინარეობას დღემდე ხალხური ფოლკლორი მირჩევნია) მეთანამშრომლა ანსამბლთან, დღეს კი ამ ანსამბლის ერთადერთი ქალი წევრი ვარ. ჩემთვის უდიდესი პატივიცაა და პასუხისმგებლობაც. ყოველთვის აკადემიური და დასამახსოვრებელია მის მიერ ჩატარებული რეპეტიციები, როცა ნიჭს ერწყმის თავდადება, მუდმივი მიღწევებით დაუკმაყოფილებლობა, როდესაც მის ყურს არაფერი გამოეპარება... რომლის სიტყვა, ნება და გადაწყვეტილება წონადია, ამასთან ეთიკურობის, სიკეთისა და ადამიანობის უდიდეს მაგალითს იძლევა, თავად კი მუდამ პეწიანი და პატივსაცემია.

ჩემი და ჩემი „მგოსნების" სახელით კიდევ ერთხელ ვულოცავ, ბატონ ნუგზარს დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას,სიკეთესა და სიხარულს, წარმატებები შემოქმედებით გზაზე.

მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე!

პატივისცემით
***სოფო არზიანი***

სულთათანა

# ლუთინ (ლევან) ქავთარაძე



88 წლის ასაკში გარდაიცვალა ლუთინ (ლევან) ქავთარაძე–ექიმი ნერვოპათოლოგი. „ღირსების ორდენის“ კავალერი, ხობის საპატიო მოქალაქე.

ცნობამ ამის შესახებ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი, კუთხე-კუნჭული შეძრა, ეს იყო უდიდესი ტკივილი, რადგან მიუხედავად ასაკისა, ძალიან ბევრ ადამიანს ეიმედებოდა ბატონი ლევანი. იგი გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, უყვარდა ზოგადად ხალხი, პაციენტები და მისხალ-მისხალ ნაგროვები დიდი სიყვარულით იყო გარემოსილი (უკეთესს რას ინატრებდა).

დაიბადა 1934 წლის 13 აგვისტოს ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1952-1958 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე სწავლობდა. 1965-1967 წლებში იქვე გაიარა კლინიკური ორდინატურა ნერვოლოგიაში, ნერვულ სნეულებათა კათედრაზე, აკადემიკოს პეტრე ქავთარაძის და პროფესორ ალექსი მინდაძის ხელმძღვანელობით.

ბატონი ლუთინი (ლევანი) სამი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი იყო.

2001 წელს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ლუთინი (ლევან) ქავთარაძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი გახლდათ ბატონი ლუთინის (ლევანი) სამედიცინო კარიერა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით ამწესებდნენ შუა აზიაში, სადგურ ჩუს ამბულატორიის ექიმად, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ითხოვა გაეგზავნათ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, რადგან მამა გარდაცვლილი ჰყავდა, ხოლო მოხუცი დედა და სამი მცირეწლოვანი და მისი შემყურენი და მოიმედენი იყვნენ.

საბოლოოდ მისი მდგომარეობა მხედველობაში მიიღეს და ახალქალაქის რაიონის სოფელ ვაჩიანის საექიმო ამბულატორიის გამგედ დანიშნეს. მალევე გადაიყვანეს სოფელ ალასტანის საექიმო-ამბულატორიული-საავადმყოფოს გამგედ.

მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად მძიმე პირობებში უწევდა მუშაობა, მიმდებარე 9 სოფლისათვის, რომელიც სომხურენოვანი მოსახლეობით იყო დასახლებული, იგი პრაქტიკულად, ერთადერთი კვალიფიციური ექიმი იყო, ის იყო სოფლის მცხოვრებლებისთვის თერაპევტი, პედიატრი, ქირურგი, გინეკოლოგიც კი. ის პერიოდი როგორც პრაქტიკის, ისე სუფთა ადამიანური კუთხითაც უაღრესად სასიამოვნო გასახსენებელი გახლდათ მისთვის. 6 თვეში სომხური ენა ისწავლა, იმდენად იყო მოხიბლული ადგილობრივთა ადამიანური სითბოთი. განსაკუთრებული სიძნელე მაინც ზამთარში ელოდა, როდესაც სოფლიდან სოფელში გადაადგილება მხოლოდ მარხილებით იყო შესაძლებელი.

იქ სამი წელი დაჰყო, შემდეგ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და დაინიშნა ახალი ხიბულის შრომითი გასწორების კოლონიის სამედიცინო ნაწილის უფროსად.

1967-1974 წლებში ლუთინი (ლევან) ქავთარაძე ჯერ ხობის რაიონული საავადმყოფოს ექიმი-ნერვოპათოლოგი, შემდეგ კი იყო მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში.

მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევდა ცხოვრების 1974-1988 წლებს, როდესაც კურორტ „მენჯში“ (რომელიც იმდროინდელი საბჭოთა კავშირის საკავშირო მნიშვნელობის და მსოფლიოში აღიარებული კურორტი იყო) ჯერ ექიმ- ნერვოპათოლოგად, შემდეგ კი პოლიკლინიკური განყოფილების მთავარ ექიმად დანიშნეს, სადაც 1988 წლამდე იმუშავა.

სხვადასხვა წლებში იყო მოსკოვის, მინსკის და ბაქოს ნერვოპათოლოგთა და ფსიქიატრთა ყრილობის დელეგატი.

1989 წელს ლუთინი (ლევან) ქავთარაძის მიერ დაფუძნდა ხობის რაიონის სოფელ ახალ სოფელში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კოოპერატივი „ხორგა“, ხორგის ბალნეოლოგიურ-მინერალური წყლების ბაზაზე.

1996 წელს მის მიერ დაფუძნებულიქნა ქ.ხობში ამბულატორული კლინიკა „მკურნალი“.

ბატონ ლუთინს ერთი შეუსრულებელი ოცნება დარჩა, ახალსოფელი გაეხადა მინერალური წყლების ბაზაზე მსოფლიო მნიშვნელობის კურორტად, წუხილით აღნიშნადა, რომ არა აფხაზეთის ოთხმოცდაათიანი წლების ტრაგედია, დღეისთვის, ალბათ, უკვე ოცნება რეალიზებულიც ექნებოდა.

2014 წელს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შეტანილი დიდი წვლილისთვის და 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბატონ ლუთინ ქავთარაძეს მიენიჭა „ხობის საპატიო მოქალაქის“ წოდება.

ბატონი ლევანი იყო კეთილშობილების ეტალონი, რასაც უდაოდ განაპირობებდა მაღალი პროფესიონალიზმი, ჰუმანიზმი, პაციენტისადმი უდიდესი პატივისცემა და სიყვარული. ის იყო ყველას სულისა და ჯანმრთელობის მოყურადე, საუკეთესო მეგობარი, გულისხმიერი, ახალგაზრდა მედიკოსების მრჩეველი და დამკვალიანებელი.

„მე წავედი, აბა თქვენ იციოთ,“–ეს ყოფილა მისი უკანასკნელი სიტყვები...

მიუხედავად ასაკისა, მისი ბოლო სიტყვები იმაზე მეტყველებდა, რომ იგი სიცოცხლის ბოლომდე მომავალზე ფიქრობდა.

ბატონი ლევანი გამორჩეული, ბედნიერი და ამაყი კაცი იყო მეუღლე ლუიზა გოგილავას, შვილი თეას, არაჩვეულებრივი ექიმების ვაჟიშვილის და რძლის ნათია სალაყაიას მისაბაძი საქმიანობის, ულამაზესი ურთიერთობების, გონიერი შვილიშვილების და შვილთაშვილის გამო...

ბატონმა ლევან ქავთარაძემ, როგორც მრავალმხრივ ნიჭიერმა და გონიერმა პიროვნებამ, შესანიშნავმა მამულიშვილმა, მშობლიური კუთხის უსაზღვროდ მოყვარულმა, სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ქართული სიდარბაისლე, წესიერი კაცის მაღალი და შესაშური ღირსება, მეგობრებთან, ადამიანებთან მხარში დგომის, სტუმართმოყვარეობის და პატივისცემის გასაოცარი უნარი. ამიტომ გაიყოლა საგზლად უამრავი ადამიანის ცრემლიანი სიყვარული...

ის ჩვენი გაზეთის ხშირი რესპონდენტი იყო, სასურველი სტუმარი, ტკბილად მოსაუბრე, მისი მობრძანება რედაქციაში ერთი ზეიმი იყო... გვიყვარდა და ვუყვარდით, გვტკივა მისი იმიერში გადაბრძანება...

დიდება ლუთინ (ლევან) ქავთარაძის ნათელ ხსოვნას.

***მერი ლაგვილავა***

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „ღირსების ორდენის“ კავალერი, „ხობის საპატიო მოქალაქე“

**ლუთინ (ლევან) ქავთარაძე**

და მწუხარებაში თანაუგრძნობენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ლევან ქავთარაძეს მამის გარდაცვალების გამო.

* * *

ბატონმა ლევან ქავთარაძემ მძიმე ჯვარი ატარა თავისი ცხოვრების მანძილზე, ის ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა. ვინ იცის რამდენი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია, არა მარტო ხობის რაიონში. საქვეყნოდ ცნობილია მისი სახელი, როგორც თავისი საქმის უბადლო მცოდნე და პროფესიონალი. ათწლეულების განმავლობაში ბატონი ლევანი პრაქტიკულად ყველა ხობელის პირადი ექიმი იყო, ყველამ იცის მისი ცნობილი ფრაზა: „არ მოგერიდოთ, არ მოგერიდოთ! რა დროც არ უნდა იყოს, გნებავთ ღამის 2, 3 თუ 4 საათი, გამაგებინეთ, მე მოვალ!“

ბატონი ლევანი იყო არაჩვეულებრივი პიროვნება, არაჩვეულებრივი ოჯახის პატრონი, შესანიშნავი მამა და ბაბუა, კეთილი მეზობელი, უღალატო მეგობარი, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, საზოგადო მოღვაწე, ტრადიციების ერთგული, კოლხური კეთილშობილების განსახიერება და როგორც სამეგრელოში იტყვიან-ის იყო „ტომბა კოჩი, ღვინ დო ქობალიშ მოყოროფე“!

ბატონი ლევანი არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო, ერთ რამედ ღირდა მისი მოსმენა. ძალიან მსიამოვნებდა მასთან საუბარი, განსაკუთრებით, როცა ის თავისი მშობლიური ხიბულის წარსულის შესახებ საუბრობდა...

ღმერთმა აცხონოს ბატონი ლევან ქავთარაძე! განუსვენოს უფალმა იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

ღორონთქ ოჩხონუას! ია დო ვარდი ვემერკებუდას!

**გოგიტა ჩიტაია.**

# დიდი ადამიანი წავიდა...

„ოქროს თაობის“ კიდევ ერთი მთაკაცი განეშორა წუთისოფელს, გადავანდა ზეშთა საუფლოში და წარიღო თან, ერთი პიროვნებისთვის ძნელად დასატევი განათლება, გამოცდილება, პროფესიონალიზმი, სიყვარული და ყველაფერი- რაც ასე წარმოაჩენდა ლუთინი (ლევან) ქავთარაძეს–დიდ დასტაქარს, თვალდასარჩენი არისტოკრატიზმით აღვსილ კოლხსა და გამორჩეულ ხობელს, ღირსების ორდენის კავალერს, ხობის საპატიო მოქალაქეს... ბრწყინვალე ოჯახის დიდ მამას, სანაქებო მეუღლესა და უსაყვარლეს ბაბუას...

მწუხარების გაზიარებითა და ცრემლებით ვწერ ამ სტრიქონებს!..

ბედნიერება გახლდათ ბატონ ლევანთან ურთიერთობა, ძნელად საპოვნელი გახლდათ მისი დარი ინტელექტუალის, ტოლუსწორო ექიმის, ასევე ღრმად განსწავლულის- ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებასა თუ სპორტის სხვადასხვა სახეობაში და ა. შ. ადამიანის პოვნა.

ის გახლდათ „ცოდნის დიდი წიგნი“ რომლის თითოეული გვერდი ოქროცურვილი ასოებით მოქარგული, იტევდა უზარმაზარ შემეცნებით შესაძლებლობას–სამყაროსეული გაგებისა და აღქმისა, უზადო მეგობრობისა და რუსთაველისეული სიყვარულისა... ამიტომაც მასთან ურთიერთობა, საუბარი, მსჯელობა ნებისმიერ თემაზე–სულის ზეიმი გახლდათ და ადვილად რწმუნდებოდი, რომ ჩვენი ტრადიციითა და კულტურით ჩვენ ნამდვილად წარმოვადგენთით ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის ცოცხალ სუბიექტს...

რა ზუსტადაა აღნიშნული: ნიჭიერი ადამიანი ზეკაცს განასახიერებს, უნიჭო კი–ასეთს თამაშობსო. ლევან ქავთარაძე ნიჭიერებით მოპირთავებული ინტელიგენტი გახლდათ, მასთან მართალი და მისანდო კაცი. ვისი ექიმობისა სჯეროდათ, სწამდათ და თავსაც უყოყმანოდ ანდობდნენ!..

ბატონი ლევანი ჩემი თანაკლასელისა და მეგობრის, მისი მოსახელე ლევან (ლევიკო) ქავთარაძის მამა გახლდათ, ჩვენი სკოლის პედაგოგის ძვირფასი ქალბატონის ლუიზა გოგილავას მეუღლე, ეს ურთიერთობა და სიახლოვე მეტად წარმოაჩენდა და ამაღლებდა ჩემს თვალში მას, როგორც დიდ მამას, მეუღლესა და მეგობარს... ასევე ვმეგობრობდი მის უმშვენიერეს ქალიშვილთან–თეასთან და მთელმა სიყმაწვილემ ამ ძვირფას ოჯახთან ურთიერთობასა და სიყვარულში გაიარა, რომელიც დღემდე გრძელდება, ასევე ჩვენი საყვარელი რძლის- ნათია სალაყაიას დიდქალობითა და გამორჩეულობით.

ვალმოხდილი და სავსე წავიდა ბატონი ლევანი, ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი, შვილთაშვილი, რძალი, სიძე, მოკეთეები, მეგობრები, ნათესავები და კეთილი საქმეები, ასე, რომ ენათელებიან მის ცხოვრებისეულ „დუენდეს“–ნიჭსა და ცხოვრებისეულ გზას!.. აქ არ შეიძლება გამოკვეთილად არ აღინიშნოს მისი ულამაზესი უფროსი შვილიშვილის მარიამის მეუღლე ვაჟა სირაძე (უმცროსი), ვისი წარმატებითა და ღირსქართველობითაც განსაკუთრებით ამაყობდა.

ადამიანი სინდისია მაინც, სინდისშია მოქცეული მისი რწმენაცა და განათლებაც, ღირსებაცა და კეთილგულოვნებაც... სინდისი განსაზღვრავს მის დაუვიწყარობასა და სიყვარულის უკვდავებას... ლევან ქავთარაძის დარი სინდისიერი ადამიანები ქმნიდნენ ჩვენი უახლოესი ისტორიის სახესა და ‘ქანდაკს’’. მადლობა ძვირფასო ადამიანო, მადლობა ასეთი ღვაწებისა და თავდადებისთვის, მისაბაძად ყოფნისა და რაინდული სულისკვეთებისთვის...

ნათელი დაგადგეთ, ჩაუქრობლად ენთოს თქვენი სულის სანთელი დიდ ნოთეში, სადაც კაცნი და ანგელოზნი ერთად პურობენ!..

მომენატრებით...

***სიყვარულითა და პატივისცემით***

***ლაშა გვასალია***

P.S. **ჩემთვის და დარწმუნებული ვარ უამრავი ხობელისთვის და არა მხოლოდ მათთვის, ეს ძვირფასი ქუჩა, სადაც ცხოვრობდა ბატონი ლევანი, ასოცირდებოდა მის სახელთან და ბედნიერი ვიქნები, თუ ამ ქუჩას მისი სახელი მიენიჭება და მომავალი თაობა ამაყად იტყვის: მე ლევან ქავთარაძის ქუჩაზე ვცხოვრობ!..**

სულთათანა

# „ის დიდია“

## გურამ კვიკვინია



ხობმა და ხობელებმა უკანასკნელ გზაზე გააცილეს ღირსეული თანამემამულე, ნაღდი ხობელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მოძღვართა მოძღვარი ბატონი გურამ კვიკვინია.

დარჩა ხსოვნა. იგი არამარტო ხობელებმა, თითქმის მთელმა საქართველომ დაიტირა.

ყველა ვგრძნობდით ბატონ გურამის სიდიადეს, სიმაღლეს, მამულიშვილობას. ის იყო შეუდარებელი, განსაკუთრებული, გამორჩეული ადამიანი. მრავალი თაობის აღმზრდელი. კაცი–პიროვნება, კაცი–მოვალეობა, კაცი–ელეგანტური, შინაგანი არისტოკრატიზმით აღსავსე. მქონდა ბედნიერება მეთანამშრომლა მასთან.

ბატონმა გურამმა იცოდა დიდებული ქართული, იცოდა მოყვასის ერთგულება, იცოდა კაცის ცნობა. მოგხიბლავდათ მისი უბრალოება, სიფაქიზე. დასჯის არავითარი სურვილი... ძველი ეგვიპტელები ასეთ კაცზე ამბობდნენ „ის დიდია!..“

ბატონი გურამის უსაყვარლესი სფერო თავის პროფესიასთან ერთად იყო ლიტერატურა და ხელოვნება, სანამ ამ წუთისოფელს დატოვებდა, იგი ხობის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მოსწავლეთა სახლის ფსიქოლოგი გახლდათ. ახალგაზრდებს მუდმივად ესაუბრებოდა პოეზიაზე, ხელოვნებაზე. მათი დიდი უმრავლესობა მის თვალწინ აღიზარდა... როცა მის გვერდით იყავი, გეამაყებოდა, რადგან უჩვეულო სხივ-სითბოში გაგხვევდა ხოლმე.

ის იყო ჩემი ტოლი, შენი ტოლი, ყველას ხწორი და მეგობარი... უკლებლივ ყველას უყვარდა, ათასში ამოარჩევდით და ამოგარჩევდათ...

ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა, წარმოსადეგი იყო, ნამდვილი კოლხი.

ბატონი გურამი დააკლდა ყველას, მან თავისი პიროვნული თვისებებით და მოღვაწეობით უკვდავყო თავისი სახელი.

„ხარ დიდებული ხობელი
და შენ ბრძანდები
დიდი ქართველი“

ჩვენ მოვიშველიებთ ამ სტრიქონებს–ბატონი გურამ კვიკვინია დიდ ქართველთა გუნდში, მათს ამალაშია.

...იგი კიდევ სჭირდებოდა ხვალინდელ საქართველოს, ახალგაზრდებს. თუმცა „გვაქვს სააქაო, მაგრამ ქართველს აქვს საიქიოც, შენ საქართველოს ყველგან სჭირდები...“

მწუხრი დგას ხობში, ის ხედავს ჩვენს უენო წუხილს... მუდამ მოიმედე, დღესაც ისე გვმოძღვრავ, გვაიმედებ, როგორც სიცოცხლეში.

სხეულის მიძინების შემდეგ, ესეც ყოფნაა, ყოფნაა ის, რომ გვრჩება მისი უკვდავების რწმენა. ბატონი გურამი სიყვარულით ივლის ჩვენს მამულში და წინაპართა საუფლოდან იღვაწებს ჩვენი სულის საოხად.

ადამიანს ორი სახელი უნდა ჰქონდესო,–ამბობდა ილია,–ერთი აქ დასარჩენი, მეორე კი–თან წასაყოლიო. ბედნიერია ადამიანი, რომელიც პირნათლად მოიხდის ვალს ერისა და ქვეყნის წინაშე და სულეთის სამყაროში ისეთ სახელს გაიყოლებს, მადლიერებით რომ გაიხსენებენ...

ძნელია დასასრული იპოვო და მაინც... ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული და დაუმკვიდროს ადგილი მართალთა შორის.

***ნაირა ბერაია***

**ხობის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის საკრებულო და გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**გურამ კვიკვინია**

**და მწუხარებაში თანაუგრძნობენ ოჯახს და ახლობლებს.**

# ინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ

მიმდინარე წლის 1 აპრილიდან თანდათან იწყო კლება. კოვიდ–19-ის შემთხვევებმა, ხოლო მანამდე იანვარ-თებერვალში გვქონდა დადასტურებული შემთხვევების განსაკუთრებით დიდი რიცხვი.

აგვისტოს მდგომარეობით გვაქვს 124 დადასტურებული შემთხვევა. თვის ბოლომდე მოსალოდნელია ზომიერი მატება და პიკი შემთხვევებისა, ხოლო შემდგომ მოსალოდნელია შემთხვევების შემცირება.

ბოლო თვეების განმავლობაში შეიმჩნევა კოვიდ-სიტუაციის სტაბილიზაცია მთელ მსოფლიოში, პანდემია არ დამთავრებულა, მსოფლიოში ყოველდღიურად აღირიცხება კორონავირუსის 500-700 ათასი ახალი შემთხვევა და 1000-დან 2000-მდე კოვიდ-გარდაცვალება, ამ მხრივ საქართველოში გამორჩეულად კარგი მდგომარეობაა, ქვეყანაში ყოველდღიურად ფიქსირდება 100-მდე ახალი შემთხვევა, გარდაცვალების 0 ან ერთეული შემთხვევა.

მოსახლეობას აინტერესებს ინფორმაცია კოვიდ–19-ის პანდემია დამთავრდა თუ არა, შემთხვევების მატება და ახალი ტალღის გაჩენა. მოსახლეობას შეუძლია მშვიდად იყოს, იმიტომ, რომ მათ უსაფრთხოებაზე სახელმწიფო ზრუნავს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პანდემია არ დამთავრებულა, რასაც მოწმობს ახალი შემთხვევების და გარდაცვალების მაღალი რიცხვები ევროპის და ამერიკის ქვეყნებში. აგრეთვე ის, რომ დაფიქსირებულია SARS-COV–2-ის რამდენიმე ახალი შტამი, თუმცა მათი ფართოდ გავრცელება არ მომხდარა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არის ზაფხული და აქტიური ტურისტული სეზონი, რაც დაკავშირებულია მობილობის ზრდასთან და შესაბამისად გაზრდილ რისკებთან, ამიტომ თუ გვინდა შევინარჩუნოთ დღევანდელი კარგი ეპიდსიტუაცია, უნდა ვიყოთ ფხიზლად, გავაგრძელოთ აქტიურად კოვიდვაქცინაცია ბუსტერდოზების ჩათვლით. მეორე აცრიდან 4 თვის შემდეგ დასაშვებია და რეკომენდირებულია მეორე ბუსტერ დოზით აცრა, გამოვიყენოთ პირბადე საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სამედიცინო დაწესებულებებში, აფთიაქებში და რაც ყველაზე მიშვნელოვანია, კოვიდის პირველი სიმპტომების გამოჩენისთანავე ჩაიტარეთ კოვიდ–19-ზე ტესტირება და ზედმიწევნით შეასრულეთ ექიმის რეკომენდაციები. ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ექიმთან დროული მიმართვის შემთხვევაში პრაქტიკულად გარანტიებულია, რომ არ მოხდება პაციენტის დამძიმება და მითუმეტეს, არ დადგება ლეტალური შედეგი. ყველამ აუცილებლად უნდა ვისწავლოთ „კოვიდის“ პირობებში ცხოვრება და საქმიანობა. დაავადების გავრცელების აცილებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოვიდ-ინფიცირებულის და მათთან კონტაქტში მყოფი პირების მიერ თვითიზოლაციის წესების დაცვა, რაც კონტროლდება ჯანდაცვის ცენტრის და სხვა შესაბამისი სამსახურის მიერ.

დაავადება მიმდინარეობს მწვავე რესპირატორიული სიმპტომებით, მსუბუქი და საშუალო სიმძიმით. საჭიროების შემთხვევაში პაციენტებმა უნდა მიმართონ ოჯახის ექიმებს ტელეფონით, ონლაინ რეჟიმში სამედიცინო დახმარების მისაღებად.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.***

## საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაცია

გაცნობებთ, რომ მომავალი დღეების განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით შენარჩუნდება მომატებული ტემპერატურა და უნალექო ამინდები. გარდა ამისა, მთიან რეგიონებში, ჰაერის მაღალ ტემპერატურასთან ერთად, მოსალოდნელია ძლიერი ქარიც, რაც ტყის ხანძრების გაჩენის ხელშემწყობ ფაქტორებს შექმნის. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური შესაძლო გართულებების თავიდან ასაცილებლად, მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთოთ ცეცხლი სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს და არ დატოვოთ ცეცხლის კერები უყურადღებოდ.

გასათვალისწინებელია, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თვითაალება შეუძლიათ, შესაბამისად ნუ დაანაგვიანებთ გარემოს.

დაკვამლიანების ან ცეცხლის შემჩნევის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ აცნობეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს.



# რწმენაა მთავარი!




ისეთ დიდ საქმეს ჩაეჭიდო, რასაც მწერლობა ჰქვია, ცოტა არ იყოს, რთულია, რთულიც არის და საპასუხისმგებლო. საზოგადოებისთვის შექმნილი ნაწარმოები წასაკითხად უნდა იყოს მხატვრული ფორმის, ხოლო შინაარსობრივად გამართლებული, რომელმაც წლებს და კრიტიკას უნდა გაუძლოს.

ლანა გოგიას შემოქმედება მრავლამხრივია, წერს სიკეთეზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე. მისი ყოველი სიტყვა თუ წინადადება უფლის მიერ სიყვარულით არის ნაკარნახევი. ეს არც არის გასაკვირი, ისეთ ოჯახში დაიბადა, სადაც უფლის სწამთ და სჯერად.

ლანა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემოქვალონში რუსუდან და კონსტანტინე გოგიების ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ხობის №2 საჯარო სკოლა. შემდეგ სწავლობდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ხელოვნება ბავშვობიდან აინტერესებდა მოყვარულის დონეზე. დადიოდა სხვადასხვა წრეებზე: ფორტეპიანოს, ვოკალის...

ჩანახატებს ბავშვობიდან წერდა. ერთი შეხედვით უწყინარი გოგო, წლების მანძილზე დიდ საიდუმლოს ინახავადა თურმე, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ნიჭმა გაარღვია ბალავარი, სიტყვად ამოხეთქა და წიგნად აიკინძა, რომელმაც ადვილად გაიკვლია გზა მკითხველისკენ.

ლანა, თავის პირველ ფსიქოლოგიურ რომანში „აღსარება, რომელსაც მხოლოდ საკუთარ თავს ვაბარებ“, წერს, რომ ადამიანი მართალი უნდა იყოს, უპირველესად საკუთარი თავის წინაშე და ზოგადად ყველასთან, ყოველთვის და ყველაფერში.

უფლის სიყვარულით და შემოქმედის კეთილსინდისიერებიდანაც ნათლად ჩანს მისი ნიჭიერება, რაც ლანას ლექსებშიც აისახა, რომელიც, მოკრძალებულად მის სამეგობრო წრეში იკითხება.

ბოლოს მინდა დავესესხო ლანას „მთავარია სინანული არ დაკარგონ, მოინანონ, თუნდაც საკუთარ თავს უთხრან აღსარება, რადგან ყველაზე გულწრფელი სწორედ სინანულია და სწორედ იგი აღწევს ღმერთამდე.

დიახ, ყველაზე დიდ სინანულს განვიცდით იმ აღსარების დროს, რომელსაც მხოლოდ საკუთარ თავს ვანდომებთ“.

წარმატებებს ვუსურვებ ლანას, როგორც პირად, ისე შემოქმედებით საქმიანობაში, მწამს და მჯერა საინტერესო ნაწარმოებებთან და ლექსებთან მოგვიწევს კიდევ მრავალგზის შეხვედრა, ისე როგორც 11 აგვისტოს საზოგადოება „ხობელის“ დარბაზში მოხდა, რის გამოც კიდევ და კიდევ მადლიერებას გამოვთქვამ ამ საზოგადოების მიმართ. ვიტყვი, რომ საჭირო იყო ამ საზოგადოების დაარსება, რომელიც მეტად კარგ საქმეს აკეთებს.

ლანასგან კი სულ მალე ველოდებით ახალ რომანს და ლექსების კრებულს, რომელზეც უკვე მუშაობს.

***მანანა შამათავა***

* * *

იმედის ტაძრად მეგულები
სიცოცხლევ ჩემო–
სულზე უტკბესო,
გულს რომ მითბობ მთელი ცხოვრება.
სამყაროს ღვთისთვის
ანგელოზი მოუთხოვია,
მე ვმადლობ ღმერთს,
რომ დედაჩემო
მე, შენ მხვდი წილად.

* * *

ჩაძირულ გემებს აუშლიათ აფრა სვეტებად,
ჩამქრალ ლამპიონს უკუნეთში წინ მივიმძღვარებ...
თუ რამ აქამდე გამიგია კაცთაგან თქმული
ყოველ ნაბიჯზე გაქარწყლება ხელში მჭერია.
რა მედიდურად ამეტყველდა კაციობრიობა,
გასაკვირია... თავი ყველას ბრძენი ჰგონია.
მთის გადმოდრეკას დავიჯერებ თითქოს ჩვეულებს,
მაგრამ კაცთაგან თქმულს ჭეშმარიტს, აღარასოდეს.

***ლანა გოგია.***

# გვასახელეს...

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, რომელმაც დაახლოებით ორი წელი გასტანა და გამოწვეული იყო ქვეყანაში მძვინვარე კოვიდეპიდემიით, ჩვეულებრივ სასწავლო-საწვრთნელ პროცესს დაუბრუნდა.

მრავალი სახელოვანი მიჭადრაკის დაფრთიანებით განთქმული ხობის სასპორტო სკოლის ჭადრაკის ჯგუფის ბავშვებმა, ზედიზედ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირში იასპარეზეს და თავი არ შეურცხვენიათ, რისი დასტურია მათი წარმატებები.



კერძოდ, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 18 წლიანთა საქართველოს ქალთა ჩემპიონატზე მოწინავე 8 საუკეთესო მოჭადრაკეს შორის მოხვდა ლიკა ჭანტურია, მანვე ფოთის პრესტიჟულ საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალზე „ნანა ალექსანდრიას თასი“–2022 ქალთა შორის II საპრიზო ადგილი მოიპოვა, ახლა კი ქალთა შორის 20 წლიანთა საქართველოს ჩემპიონატზე საკმაოდ რიხიანად ასპარეზობს, რამდენიმე საჭირო ქულა დააგროვა და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა თავისი საერთაშორისო საჭადრაკო რეიტინგი.

ახლახან ამბროლაურში დასრულებულ საერთაშორისო საჭარდაკო ფესტივალზე „რაჭა–2022“ შესანიშნავად იასპარეზა 14 წლის მარიამ ლაგვილავამ, რომელმაც არამარტო თავისი ასაკის მონაწილეებს, არამედ იქ მონაწილე ყველა ქალბატონს გაუსწრო და დამსახურებულად დაიკავა I ადგილი. ე.წ. „სწრაფ ჭადრაკში ბლიცტურნირი“, ამასთანავე მიიღო საპრიზო ფონდით გამოყოფილი ფულადი ჯილდო.

შთამბეჭდავი გახლდათ 11 წლის გიორგი იოსავას ასპარეზობაც 12 წლიანთა ტურნირზე, რომელმაც III საპრიზო ადგილი მოიპოვა.

მართალია, ჯერჯერობით საპრიზო ადგილებს ვერ შესწვდნენ, მაგრამ გვასახელეს და მომავლის იმედი ჩაგვისახეს ნორჩმა მოჭადრაკეებმა, 9 წლის ლუკა სანაიამ და ანდრია ზარანდიამ. 10 წლის ცოტნე ქაჯაიამ, ანდრია ქანდარიამ, დავით ბუკიამ. გვყავს სხვა პერსპექტიული მოზარდებიც, რომლებიც სახვალიოდ გვეიმედება.

და ბოლოს, ყოველივე ეს არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის (დირექტორი ბატონი კობა კობახიძე) ფინანსური უზრუნველყოფა, რაც უდაოდ შედეგებზე აისახა.

ღონისძიებაზე თითოეულ მონაწილე ბავშვების მშობლების თხოვნით, დიდ მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდში დაგვიდგა, ჩვენი სჯეროდა და იმედია, მომავალშიც გვერდით დაგვიდგებიან.

ასევე წარმატებული შეიძლება ვუწოდოთ თქვენი მონა-მორჩილის, მწვრთნელი ირაკლი გეთიას მიერ ამბროლაურში მწვრთნელთა შორის კონკურსში საპატიო II საპრიზო ადგილის მოპოვებას.

***ირაკლი გეთია, ხობის სასპორტო სკოლის მწვრთნელ-ინსტრუქტორი ჭადრაკში.***

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.